

## ტელეკომპანია „ფორმულას“ თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის გადაწყვეტილება

#2

ქ.თბილისი

11 მარტი, 2022 წელი

### კომისიის შემადგენლობა:

დირექტორი - ზურაბ გუმბარიძე

საინფორმაციო სამსახურის დირექტორი - გიორგი ლაფერაშვილი

გადაცემა „დილა ფორმულაზე“ მთავარი პროდიუსერი - ლიკა კინწურაშვილი

ახალი ამბების დეპარტამენტის უფროსი-მთავარი პროდიუსერი- მაკა ფანჭველაშვილი

### დაინტერესებული პირები/საჩივრის ავტორები:

ბაკურ კილურაძე

ადვოკატი გოჩა სვანიძე

### დაინტერესებული პირების საჩივარი

ტელეკომპანია „ფორმულა“ (შემდგომში „ტელეკომპანია“/„კომისია“) აღნიშნავს, რომ 2022 წლის 14 თებერვალს მის თვითრეგულირების ორგანოს საჩივრით მიმართეს ფიზიკურმა პირებმა - ბაკურ კილურაძემ და მისმა ადვოკატმა გოჩა სვანიძემ, 2022 წლის 05 თებერვალს გადაცემა „შაბათის ფორმულა“-ში გასული სიუჟეტის გამო.

საჩივრის მიხედვით, 2022 წლის 05 თებერვალს სამაუწყებლო კომპანია „ფორმულას“ ეთერში გავიდა გადაცემა „შაბათის ფორმულა“, რომლის ერთ-ერთი სიუჟეტი ეხებოდა მოქალაქე ბაკურ კილურაძის საკუთრებაში არსებულ, რევაზ თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე უძრავ ქონებას და მასში განხორციელებულ არქიტექტურულ-რესტავრაციულ სამუშაოებს. საჩივრის ავტორების მტკიცებით, სიუჟეტით მოხდა მცდარი ინფორმაციის გავრცელება და იგი მიზნად ისახავდა არა საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, არამედ ბაკურ კილურაძის მიმართ მტრული, დამამცირებელი და ღირსების შემლახველი გარემოს შექმნას. კერძოდ, საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ სინამდვილეში აღნიშნული ქონება წარმოადგენს შპს „უტა“-ს საკუთრებას. გარდა ამისა, საჩივრის ავტორების მტკიცებით, სიუჟეტით არასწორად გავრცელდა ინფორმაცია ბაკურ კილურაძის მიმართ წარსულში წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იმავდროულად არ მომხდარა მისი ჯაშუშობის ბრალდებისგან გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

*საჩივრის ავტორების სამართლებრივი დასაბუთება:*

საჩივრის ავტორების მოსაზრებით, 2022 წლის 05 თებერვალს გადაცემა „შაბათის ფორმულაში“ გასული სიუჟეტით, ტელეკომპანია „ფორმულა“-მ დაარღვია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლი, რომლის მიხედვით მაუწყებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება.

(1) საჩივრის ავტორის მტკიცებით, სადავო სიუჟეტი ეხებოდა მოქალაქე ბაკურ კილურაძის საკუთრებაში არსებულ, რევაზ თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე უძრავ ქონებას და მასში განხორციელებულ არქიტექტურულ-რესტავრაციულ სამუშაოებს, საჩივრის ავტორის მტკიცებით, სინამდვილეში აღნიშნული ქონება წარმოადგენს შპს „უტა“-ს საკუთრებას.

(2) საჩივრის ავტორის მითითებით, სიუჟეტის მსვლელობისას, წარსულში ბაკურ კილურაძის მიმართ არსებული ჯაშუშობის ბრალდების შესახებ, მათი მტკიცებით, უშუალოდ სიუჟეტის მსვლელობისას სიუჟეტის ავტორი ბაკურ კილურაძეს ახლანდელ დროში მოიხსენიებს ჯაშუშობაში ბრალდებულ პირად, ისე რომ არ საუბრობს საქართველოს პარლამენტის მიერ ბაკურ კილურაძისათვის პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭებასა და შემდგომში ქალაქ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ უკანასკნელის წაყენებული ბრალდებისგან სრულად გამართლების შესახებ.

*საჩივრის ავტორების მოთხოვნა:*

- (1) საჩივრის ავტორები მოითხოვენ ტელეკომპანია „ფორმულას“ მხრიდან მოხდეს თაბუკაშვილის 27 ნომერში არსებული უძრავი ქონების მიმართ სრული ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ, ქონების რეალური მესაკუთრისა და უძრავი ქონების მდგომარეობის შესახებ;
- (2) ბაკურ კილურაძის ჯაშუშობის ბრალდებასთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის გავრცელება გამამართლებელი განაჩენის არსებობისა და განაჩენის შინაარსის თაობაზე, იმ ინფორმაციის უარყოფასთან ერთად, რომლის მიხედვითაც ბაკურ კილურაძე ჯაშუშობაში ბრალდებული პირია, მისი გათავისუფლება კი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ქმედებას წარმოადგენს.

**საჩივრის დასაშვებობა**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 20 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე დამტკიცებულია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ პროგრამის მომზადებისა და გადაცემის პრინციპებს, წესებსა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს. კოდექსის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაუწყებელს უფლება აქვს აირჩიოს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და ამ კოდექსის შესაბამისად, რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურას და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, ტელეკომპანია „ფორმულა“ თვითრეგულირების მექანიზმის გზით საჩივრებს განიხილავს შპს „ფორმულას“ დირექტორის 2019 წლის 27 სექტემბრის

ბრძანების #Formula00-002 (27/09) საფუძველზე დამტკიცებული დებულების შესაბამისად. წინამდებარე დებულება განთავსებულია შპს „ფორმულას“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე და იგი საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს საჩივრის დასაშვებობის ფორმალურ კრიტერიუმებს, საჩივრის განხილვის ვადებს, პროცედურებს და სხვა გარემოებებს. დებულების თანახმად, ტელეკომპანია ფორმულამ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს საჩივრის განხილვის გამჭვირვალე პროცესი.

კომისია განმარტავს, რომ კომისიამ გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა განსაზღვროს წარმოადგენს თუ არა საჩივრებში აღნიშნული საკითხები კომისიის რეგულირების სფეროს და წარმოადგენენ თუ არა საჩივრის ავტორები დაინტერესებულ პირებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაინტერესებული პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა. მაუწყებელთა ქვევის კოდექსი განმარტავს დაინტერესებული მხარის ცნებას, რომელსაც აქვს შესაბამისი უარყოფის მოთხოვნის უფლება. მაუწყებელთა ქვევის კოდექსის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის „ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში“.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი ბაკურ კილურაძე არის პირი, რომელიც მოხსენიებულია პროგრამაში, ხოლო გოჩა სვანიძე წარმოადგენს მისი ინტერესების დამცველს, კერძოდ, მის წარმომადგენელს, წამომადგენლობითი უფლებამოსილება დასტურდება საჩივრის დანართი #5-ით (რწმუნებულებით); შესაბამისად, დგინდება, რომ ისინი წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მათ აქვთ უფლება საჩივრით მიმართონ ტელეკომპანიის თვითრეგულირების ორგანოს და მოითხოვონ შესაბამისი საკითხის განხილვა.

მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა, აგრეთვე სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს კომისიას ან სასამართლოს, ხოლო 21 პუნქტის თანახმად, მაუწყებლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას ან სასამართლოს.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორები საკუთარი სამართლებრივი დასაბუთებისთვის უთითებენ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, მაუწყებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება და რომლის არსებობის შემთხვევაშიც კანონი არ იძლევა კომისიისთვის ან სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. საჩივარი შემოსულია ტელეკომპანია „ფორმულაში“, ამდენად სწორედ მისი თვითრეგულირების ორგანოს (კომისიის) უფლებამოსილებას მიეკუთვნება მასში მოცემული საკითხების განხილვა, ზეპირის სხდომის ჩანიშვნა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

კომისია აღნიშნავს, რომ თვითრეგულირების მიზანია მაუწყებლის საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და საამისოდ მაუწყებელს შემუშავებული აქვს შესაბამისი დებულება.

შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ დაშვებულ უნდა იქნეს დაინტერესებული პირების საჩივარი და განხილულ იქნეს იგი არსებითად ზეპირი მოსმენის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### სამოტივაციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუცია, „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ და სხვა შიდა ეროვნული თუ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები ადგენს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

ვინაიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს, საქართველოს კანონმდებლობა აწესებს მისი დაცვის მაღალ სტანდარტს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას და განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა განსაზღვრული უნდა იყოს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის #ას-625-593-2014 გადაწყვეტილება, პ.50).

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ინფორმაციის გამავრცელებს წარმოადგენს მედია საშუალება, რომელიც სხვა სუბიექტებთან შედარებით, გამოხატვის თავისუფლების განსხვავებული სტანდარტით სარგებლობს, მისი საქმიანობის პირდაპირი სფეროდან გამომდინარე. ჟურნალისტი ავრცელებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა მოპოვებული ჰქონდეს სხვადასხვა (მათ შორის, კონფიდენციალური) წყაროდან, თუმცა, „ჟურნალისტებისთვის ზედმეტად მძიმე მტკიცების ტვირთის დაკისრება გამოიწვევს მისი როგორც „მოდარაჯის“ (watchdog) ფუნქციის მოშლას და წაართმევს საზოგადოებას უფლებას - მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია გონივრულ დროში. სასამართლომ მრავალჯერ აღნიშნა მედიის როლის შესახებ საზოგადოების იმ უფლებასთან მიმართებით, მიიღოს ინფორმაცია. სასამართლო მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ ჟურნალისტებს აქვთ ინფორმაციის გავრცელების უფლება, არამედ - საზოგადოებას გააჩნია ამგვარი ინფორმაციის მიღების უფლება, ხოლო ამის გარეშე მედია ვეღარ შეასრულებდა თავის უმნიშვნელოვანეს როლს როგორც „მოდარაჯე“. (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (SATAKUNNAN MARKKINAPORSSI Oy and SATAMEDIA Oy v. FINLAND პ 26).

საჩივრის ავტორების მიერ მოთხოვნილია დამატებითი ინფორმაციის გავრცელება მაუწყებლის მხრიდან, ვინაიდან, მათი მტკიცებით შეილახა ბაკურ კილურაძის პირადი არაქონებრივი უფლებები, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია შემოწმდეს ის წინაპირობებიც, რომელთა არსებობაც სავალდებულოა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებისას. სასამართლო პრაქტიკა და საქართველოს კანონმდებლობა ცხადყოფს, რომ მსგავსი მოთხოვნის წარდგენისას, პირველ რიგში, სწორედ მოსარჩელე/საჩივრის ავტორი არის ვალდებული რომ უტყუარი მტკიცებულებების სტანდარტით ამტკიცოს:

- (ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;
- (ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი არსებითად მცდარი ფაქტების შემცველია;
- (გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან/და საქმიან რეპუტაციას.

მოცემულ სადავო სიუჟეტში, საუბარია თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე უძრავ ქონებაზე, რომელიც არის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს უდავო ფაქტობრივ გარემოებას. სიუჟეტში საუბარია იმაზე, რომ მოხდა აღნიშნული ძეგლის თვითნებური გადაკეთება საჩივრის ავტორის მხრიდან.

„კულტური მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვის სპეციალურ სტანდარტს აწესებს, კერძოდ, კანონის 23-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია ძეგლის მხოლოდ იმგვარი გამოყენება, რომელიც არ აზიანებს ან ამის საფრთხეს არ უქმნის მას, არ ამცირებს მის კულტურულ ან ისტორიულ ღირებულებას, არ იწვევს მისი ავთენტიკური ელემენტების ცვლილებებს, არ აუარესებს მის აღქმას. ამავე კანონის 26-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება დასაშვებია მხოლოდ ძეგლის ადაპტაციის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ეს არ გამოიწვევს ძეგლის დაზიანებას ან მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულების შემცირებას. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ არ უნდა მომხდარიყო ძეგლის თვითნებურად, სპეციალური ნებართვის გარეშე გადაკეთება, მასში ცვლილების შეტანა, პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან.

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის იმ ფაქტს, რომ აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრე არის არა თავად, არამედ, ის წარმოადგენს შპს „უტა“-ს (ს.კ 203835957) საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით კი დგინდება, რომ აღნიშნულ შპს-ში 51%-იანი წილის მფლობელი არის სწორედ ბაკურ კიღურაძე - საჩივრის ავტორი.

აქედან გამომდინარე, ნათელი და გასაგებია, რომ საჩივრის ავტორი სრულად არის დაკავშირებული თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე უძრავ ქონებასთან, აქვე აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტს არ ეკისრებოდა ვალდებულება, სიუჟეტში უძრავი ქონების ყოველი ხსენებისას მიეთითებინა, იმ ფაქტზე, რომ უძრავი ქონება წარმოადგენდა შპს „უტა“-ში 51%-იანი წილის მფლობელი პირის საკუთრებას, შესაბამისად, მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყო სწორი და არ შეიცავდა მცდარ ფაქტებს. ინფორმაცია მცდარი ფაქტების შემცველი რომც ყოფილიყო, მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა ზომები მიიღო და რა ღონისძიებები გაატარა ჟურნალისტმა, როდესაც ფაქტს ავრცელებდა. მან თუ ჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ინფორმაციის გადამოწმებასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება.“ ((თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის 028/1713-15 გადაწყვეტილება, პ. 5.4).

ჟურნალისტები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებენ, რომ ინფორმაცია ოფიციალური წყაროებიდან მიიღეს; ჟურნალისტი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში; ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება. თუმცა, რიგ შემთხვევებში ინფორმაციის გადამოწმება გარკვეულ დაუძლეველ სირთულეებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტმა ზუსტად ამგვარი სირთულის არსებობა უნდა დაადასტუროს. (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის 028/1713-15 გადაწყვეტილება, პ. 5.4).

მოცემულ შემთხვევაში, სიუჟეტიდან ნათლად იკვეთება, რომ ჟურნალისტი მივიდა ადგილზე, ეცადა საჩივრის ავტორისგან ინფორმაციის მიღებას, თუმცა ეს ვერ შეძლო, შესაბამისად, მან მეორე მხარესაც (არამხოლოდ საჩივრის ავტორს, არამედ სიუჟეტში ნაჩვენებ და საჩივარში მოხსენიებულ სხვა პირებსაც)

მისცა საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ვერ დასტურდება გავრცელებული ინფორმაციის სინამდვილესთან შეუსაბამობა, ხოლო რაც შეეხება ინფორმაციის, უძრავი ქონების მდგომარეობის შესახებ, იგი ისედაც ნათლად არის ნაჩვენები სიუჟეტში და არ საჭიროებს დამატებით დაზუსტებას.

ჟურნალისტური საქმიანობა და საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ თემაზე ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება თავისი არსითვე არ ისახავს მიზნად პირის ცილისწამებას და ჟურნალისტის მიზანი კონცეპტუალურად განსხვავდება ცილისწამების შემადგენლობისათვის დადგენილი მიზნიდან, რასაც ხშირ შემთხვევაში მივყავართ ფაქტის ან მოვლენის ჟურნალისტისეულ გარკვეულწილად შესაძლოა უტრირებულ შეფასებამდე. საერთო ჯამში სადავო განცხადებები მთლიანი კონტექსტით და პათოსით შესაძლოა მიჩნეულ იქნეს სწორედ მოვლენების უტრირებულ გადმოცემად და არა მოსარჩელის მიმართ გაცხადებულ და მიზანმიმართულ ცილისწამებად. (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება).

სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე მეორე მოთხოვნასთან მიმართებით, კერძოდ, ჟურნალისტის მიზანი არ ყოფილა საჩივრის ავტორის ცილისწამება, ჟურნალისტმა ბაკურ კილურაძე მოიხსენია არა ამჟამინდელ, არამედ „წარსულში ჯაშუშობისთვის ბრალდებულ პირად“ (სიუჟეტის 22:17 წუთი), შესაბამისად, არ ყოფილა საჭიროება მის მიმართ არსებული გამამართლებელი განაჩენის გაფლერების თაობაზე, რადგან არ მომხდარა მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ საჩივრის ავტორი ამ მომენტშიც ატარებს აღნიშნულ სტატუსს. რაც შეეხება, ჟურნალისტის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ საჩივრის ავტორის გათავისუფლება „პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ქმედებას წარმოადგენს“, აქ იგულისხმება სწორედ ის ფაქტი, რომ მის მიმართ შესაბამისი დადგენილების მიღება 2012 წლის 05 დეკემბერს, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოხდა, რაც ასევე არ არის სადავო გარემოება.

დამატებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ ცილისწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი. გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა. გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციას შორის ბალანსი უნდა გადაწყდეს კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასაშვები კრიტიკის ფარგლები; პრესის თავისუფლების ინსტიტუტი; საზოგადოებრივი ინტერესი“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის Nას-1052-1007-2014).

ამ შემთხვევაში აუცილებელია გავითვალისწინოთ, კონკრეტული დავის თავისებურება, ასევე ის საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც არსებობს არა ჩვეულებრივი საცხოვრებელი სივრცის, არამედ იმ უძრავი ქონების მიმართ, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სტატუსით სარგებლობს, ხოლო კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს მისი თვითნებურად გადაკეთების შესაძლებლობას, რასაც მოცემულ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ჰქონდა ადგილი.

მოსარჩელეს/საჩივრის ავტორს ასევე უნდა ემტკიცებინა, რომ გავრცელებული სიუჟეტით ზიანი მიადგა მის ღირსებას, პატივსა და საქმიან რეპუტაციას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით,

„მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება არის თუ არა ზიანის მიმყენებელი, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და ურთიერთშეჯერებით უნდა დადგინდეს.“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის ი28/1713-15 გადაწყვეტილება, პ. 5.2).

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარეს/საჩივრის ავტორს უნდა წარმოედგინა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მიანიშნებდა, რომ მას შეეღობა ღირსება, პატივი და საქმიანი რეპუტაცია. თუმცა, საჩივრის ავტორი არ მიანიშნებს კონკრეტულად იმ გარემოებებზე, რომლითაც საქმის განმხილველი კომისია მიიჩნევს, რომ ზიანი მიადგა მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

შესაბამისად, არ არსებობს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ მოპასუხე მაუწყებელმა მიზანმიმართულად გაავრცელა ცრუ ინფორმაცია, ან რომ მან გამოიჩინა უხეში და აშკარა დაუდევრობა სიუჟეტის დამზადებისას.

კომისია ყურადღებას ამახვილებს საჩივრის განხილვის ვადებზე:

კერძოდ, დებულების 5.1. პუნქტის შესაბამისად, საჩივრები განიხილება დროულად, გონივრულ ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი ვადა, მაუწყებელი ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

ვინაიდან, საჩივრის თვითრეგულაციის ორგანოში შემოსვლის შემდეგ განვითარდა ფორს-მაჟორული პროცესები და დაიწყო საომარი მოქმედებები რუსეთის მხრიდან უკრაინაში განხორციელებული თავდასხმით, ტელეკომპანიას თავისი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე და მის დეპარტამენტებს მოუწიათ გადასულიყვნენ მაუწყებლობის სპეციალურ რეჟიმზე, რამაც გამოიწვია საჩივრის განხილვის ვადების გაზრდა.


### კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

კომისიის მიერ თვითრეგულირების ორგანოში შესულ და განხილულ საჩივარზე მიღებულ იქნეს შემდეგი გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე:


- 1) არ დადგინდეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის დარღვევა და არ დაკმაყოფილდეს საჩივრის ავტორების მოთხოვნები ინფორმაციის გავრცელებასთან და ინფორმაციის უარყოფასთან დაკავშირებით.
- 2) გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს საჩივრის წარმდგენ დაინტერესებულ პირებს.
- 3) გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში. სააპელაციო საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #45 ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: [legal@formula.ge](mailto:legal@formula.ge).

კომისიის წევრები:

ზურაბ გუმბარიძე



გიორგი ლაფერაშვილი



ლიკა კინწურაშვილი



მაკა ფანქველაშვილი

